საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

ცნობის ფურცელი

4

2019

კონკურსები

2019 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი.

ფილმწარმოება

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია" (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო" დირექტორი – რუსუდან ჭყონია, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი" (პროდიუსერი – შპს „სინეტექი", რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული" (პროდიუსერი – შპს „შვიდკაცა", რეჟისორი – გია ბარაბაძე);

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი “ დირექტორი – შოთა ბაშარული, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);

- “პაპანაქება” (პროდიუსერი -შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი – თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი – თორნიკე გოგრიჭიანი);

- “გუშაგები” (პროდიუსერი – შპს „ორნი“ დირექტორი – თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი – სანდრო სულაძე);

- #26 (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი – დავით უჯმაჯურიძე, რეჟისორი – გვანცა მეფარიშვილი);

- “მეზობელი” (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“ დირექტორი – მაია გურაბანიძე, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე);

- “აუზი” (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“ დირექტორი – ნატო სიხარულიძე, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);

- “ჩატვირთვა” (პროდიუსერი – შპს „დიგითალ ქითჩენ ფილმსი“ დირექტორი – ლუკა ბერაძე, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);

- “ლანა, ანუკა და ფეხბურთის მთელი გუნდი” (პროდიუსერი – ააიპ ”მიკროკოსმოსი’’ სალომე ჯაში, რეჟისორი და სცენარის ავტორი- ქეთევან კაპანაძე);

- “ბერი” (პროდიუსერი – შპს”ორნი’’ თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი და სცენარის ავტორი სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);

- “ღიმილიანი საქართველო” (პროდიუსერი – შპს”1991 ფროდაქშენს’’ ნინო ჩიჩუა, ანა ხაზარაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);

- “მუღამათი” (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);

- “სამი ურო” (პროდიუსერი – შპს”სტუდია 99’’ – კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი – თამარ ბართაია, გიორგი ბართაია, სცენარის ავტორი – თამარ ბართაია);

- “ჩაკრულოს მოძებნა” (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ’’ – პაატა ჯიხვაშვილი, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თეიმურაზ სიხარულიძე);

- ,,კატოს სიზმრები” (პროდიუსერი – შპს „20 step productions” ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი – ცოტნე რუსიშვილი, სცენარის ავტორი – ცოტნე რუსიშვილი);

- ,,მამა” (პროდიუსერი – ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“ – ზურაბ დიასამიძე, რეჟისორი – არჩილ კუხიანიძე, სცენარის ავტორი – ზურაბ დიასამიძე’’);

“ოქროს ძაფი“

“ფრენცის სასადილო“

- ,,განდეგილი” (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“ – ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – დათო კიკნაველიძე).

გადაღების პერიოდშია:

- “შავი ზღვა” (პროდიუსერი – ინდივიდ/მეწარმე – „ნინუკა ქოიავა“, რეჟისორი – თინათინ ემირიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, დირექტორი – ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“ დირექტორი – ლევან კოღუაშვილი, რეჟისორი – ლევან კოღუაშვილი);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორ/ანიმატორი – ანა ჩუბინიძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- “ჭა” (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“ დირექტორი – ნელი შენგელაია, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);
- “ჩემი მეზობელი” (პროდიუსერი – ააიპ”კავშირი ოპიოდოკი’’ მარიამ ჭაჭია, რეჟისორი და სცენარის ავტორი - მარადია ცაავა);

მონტაჟდება:

- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა“ (პროდიუსერი – ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი – ალექსანდრე კობერიძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი – ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ცხვედიანი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „სასტუმრო მირაჟი“ (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“ ანი კაშია, რეჟისორი – ანი კაშია);

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“(პროდიუსერი – შპს”20 steps production’’, დირექტორი – ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი – ალექსანდრე ქათამაშვილი);

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი – ააიპ „კვალი XXI” ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი – მარი კაპანაძე);

- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი – სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი – ერეკლე ბადურაშვილი);

- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ზამთრის დეპრესია” (პროდიუსერი – შპს ”Film Asylum”, დირექტორი – ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი – თამაზ ნარიმანიძე);

- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ინგა” (პროდიუსერი – შპს ”სიბლერ ფილმსი’’, დირექტორი – დავით აბრამიშვილი, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი – შპს „სოლოსოლო“ დირექტორი-ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი – შპს „აკრობატი“ დირექტორი – ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი – ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გოძიაშვილი, რეჟისორები – ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი – კ. კალანდაძე);

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი – სალომე ჯაში, რეჟისორი – სალომე ჯაში).

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს”ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია “ დირექტორი – ზაზა ხალვაში, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში).

“ბოსტანი კონფლიქტის ზონაში”

“ინგა“

“სამურაი დასვენების ჟამს“

“წვიმა ორ ნაპირზე“

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – ”სატრფიალო პასტორალი” (პროდიუსერი – შპს “თთფილმი’’ დირექტორი – თამარ გურჩიანი, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს”პანსიონატი “, დირექტორი – ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი -ინდ/მეწარმე გიო მგელაძე – კატმანდუ, რეჟისორი – გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი’’ (პროდიუსერი – შპს”არტეფაქტ პროდაქშენი”, დირექტორი – ივანე არსენიშვილი, რეჟისორები – ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი – შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი – გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი – ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი).
- დოკუმენტური ფილმი „აზნაშ ლამანი“ (პროდიუსერი – შპს „ბი-აი -თი სტუდიო“ მარიამ ბიწაძე, რეჟისორი – ნონა გიუნაშვილი);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების ჟამს“ (პროდიუსერი – შპს „ალამდარი“, რეჟისორი – ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი -ზაზა ხალვაში);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი ცა“ (პროდიუსერი – შპს „კინოარქიტექტორის ოფისი“, რეჟისორი – დეა კულუმბეგაშვილი);
- “აღდგომა” (პროდიუსერი – ააიპ”ნიკადოკ ფილმი’’ ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, რეჟისორი – და სცენარის ავტორი- ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);

დასრულდა

- ქართულ – უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ”როგორ გავყიდოთ ომი’’ (პროდიუსერი – შპს ”20 steps production’’ – დირექტორი – ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი – რუდოლფ ჰერცოგი);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი – „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი – თამარ თვარაძე, რეჟისორი – ლანა ღოღობერიძე);

- ერთობლივი ქართულ – უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი – 43’’ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“ დირექტორი – რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი – დიმიტრი ცინცაძე).

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ”ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე’’ (პროდიუსერი – შპს ”არტ ფაბრიკა’’ დირექტორი – თამაზ ორაშვილი, რეჟისორი – გიორგი შენგელაია).

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი – ”ისტორია საოჯახო ალბომიდან’’ (პროდიუსერი – ააიპ”საქდოკ ფილმი” დირექტორი – ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი – ანნა ძიაპშიპა).

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთარის სიკვდილი“ (პროდიუსერი – შპს „მაისის ფერი“ დირექტორი – ევა ბლონდი, რეჟისორი – იოსებ ბლიაძე);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „და სხვები“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია 1,2,3,” გიორგი ტეტიაშვილი, რეჟისორი – დავით გურგულია);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „თორმეტი გაკვეთილი“ (პროდიუსერი – ააიპ „მაკ“ ჯერეჯი ჯეიმს გასკილ, რეჟისორი გიორგი მრევლიშვილი);

“როგორ გავყიდოთ ომი”

“თორმეტი გაკვეთილი“

ფილმი “შინდისი” ვარშავის კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა

21 ოქტომბერს, ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიაზე ფილმი “შინდისი” კინოფესტივალის გრან პრის მფლობელი გახდა. ფილმმა ასევე მოიპოვა საუკეთესო რეჟისორის ჯილდო, რომელიც “შინდისის” რეჟისორ დიმიტრი ცინცაძეს გადასცეს.

“შინდისი” გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. ეს არის რეალურად მომხდარი ამბავი ჩვენი დროის კავკასიური ომიდან. ადგილობრივი გლეხების თავდადება და ჩასაფრებაში მომწყვდეული ჯარისკაცების ბრძოლა სიცოცხლისთვის.

მთავარ როლებს ფილმში გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე და თამუნა აბშილავა ასრულებენ.

ვალიადოლიდის კინოფესტივალზე საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგა

19-26 ოქტომბერს ესპანეთში გაიმართა ვალიადოლიდის საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც საქართველო საპატრიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგა. ქართული ფოკუსის ფარგლებში აჩვენეს ბოლო 20 წლის მანძილზე შექმნილი 20-ზე მეტი ქართული ფილმი.

ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა ლევან აკინის „და ჩვენ ვიცეკვეთ“. ამ ფილმში შესრულებული მთავარი როლისთვის ლევან გელბახიანს ვალიადოლიდში საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდო გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ ვალიადოლიდის კინოფესტივალის ჟიურის შემადგენლობაში იყო 2 ქართველი რეჟისორი - ქეთი მაჭავარიანი (საერთაშორისო კონკურსი) და ნუცა ალექსი-მესხიშვილი (საკონკურსო სექცია Meeting Point).

საქართველოს, როგორც სტუმარ ქვეყანას, ვალიადოლიდის კინოფესტივალმა 24 ოქტომბრის პროგრამა მიუძღვნა. გაიმარა არაერთი აქტივობა, მათ შორის დისკუსია ქართული კინოს შესახებ მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელსაც ქართველი კინემატოგრაფისტები – ქეთი მაჭავარიანი, ნუცა ალექსი-მესხიშვილი, თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში და თორნიკე ბზიავა დაესწრნენ. იქვე მოხდა ორენოვანი წიგნის პრეზენტაცია (ინგლისურ და ესპანურ ენებზე), სადაც ქართული კინოს შესახებ ლელა ოჩიაურის, ზვიად დოლიძისა და ირინა დემეტრაძის სტატიებია შესული. დისკუსიის დასრულების შემდეგ, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ქართული მიღება, რომელსაც ელჩი ილია გიორაძე დაესწრო. საღამოს დასასრულს კალდერონის თეატრში აჩვენეს კოტე მიქაბერიძის 1929 წელს გადაღებული ფილმი “ჩემი ბებია”. ფილმს მუსიკალურ თანხლებას უწევდა რეზო კიკნაძის ჯაზ ტრიო.

ვალიადოლიდის კინოფესტივალი 1956 წლიდან იმართება და იგი ესპანეთში საავტორო კინოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია. სხვადასხვა დროს იგი დაკავშირებული იყო ისეთ სახელებთან, როგორებიცაა – პედრო ალმადოვარი, კენ ლოუჩი, არტურ პენი, ინგმარ ბერგმანი, ლუკინო ვისკონტი, ფრანსუა ტრიუფო, ვონგ კარ-ვაი, ანჟეი ვაიდა, ნიკიტა მიხალკოვი და სხვა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (IDFA)

ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე (IDFA) ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა.

“გვირაბი” საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა. იგი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა და ამსტერდამში პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

IDFA მსოფლიოში დოკუმენტური ფილმების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კინოფესტივალია, რომელიც ამსტერდამში 1988 წლიდან იმართება.



ლაიფციგის დოკუმენტური კინოს ფესტივალი

ნინო კირთაძის ახალი ფილმის მსოფლიო პრემიერა ლაიფციგის დოკუმენტური კინოს ფესტივალზე შედგა.

დოკუმენტური ფილმი “ჩემს სიკვდილით დასჯაზე გიწვევთ” (I INVITE YOU TO MY EXECUTION) ლაიფციგში საერთაშორისო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

ფილმის წარდგენის გარდა, ნინო კირთაძემ საინტერესო პანელ დისკუსიაშიც მიიღო მონაწილეობა. რომელი ქვეყნის პასპორტი აქვს ფილმს? – დისკუსიის წევრებმა მოდერატორთან ერთად განიხილეს, თუ როგორ უნდა მოხდეს კოპროდუქციების შემთხვევაში ფილმისთვის წარმომდგენი ქვეყნის შერჩევა და რა თავისებურებები აქვს ამ პროცესს.

კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალი

გიგა ლიკლიკაძის სადებიუტო ფილმის მსოფლიო პრემიერას კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალმა უმასპინძლა. ფილმი "ღორი" ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა. ფილმში მთავარ როლებს მალხაზ ხუციშვილი, თემო გოგინავა და ნიკა გოზალოვი ასრულებენ.

"ღორის" პირველი ჩვენება ბაკურიანის კინოფორუმის ფარგლებში გაიმართა, სადაც იგი ქართველმა კინომცოდნეებმა და მედიის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს. ფილმის ოფიციალური პრემიერა საქართველოში თბილისის საერთაშორისო კინოფესტვალზე შედგა.

"უარყოფითი რიცხვები" არასისა და რომის საერთაშორსო კინოფესტივალებზე

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის – უტა ბერიას სადებიუტო ნამუშევრის მსოფლიო პრემიერა არასის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა. "უარყოფითი რიცხვები" საფრანგეთში 15 ნოემბერს შეაფასეს.

მალევე, 20 ნოემბერს "უარყოფით რიცხვები" აჩვენეს იტალიაში, რომის დამოუკიდებელი კინოს საერთაშორისო ფესტივალზე.

"უარყოფითი რიცხვები" ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი არასრულწლოვან ვაჟთა კოლონიაში განვითარებული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს, სადაც რაგბის ვარჯიშები ინიშნება და პატიმრებში როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური გაჯანსაღება იწყება. ფილმის მთავარ გმირს - ნიკას, მოუწევს არჩევანი გააკეთოს მოპოვებულ ავტორიტეტსა და შინაგან თავისუფლებას შორის.

ქართული ტრიუმფი მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალზე

მინსკში საერთაშორისო კინოფესტივალი “ფოთოლცვენა” (LISTAPAD) გაიმართა, სადაც ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 4 ჯილდო მოიპოვეს:

- საუკეთესო სცენარი - დიმიტრი მამულიას ფილმი “ბოროტმოქმედი”;
- საუკეთესო მსახიობი ქალი - სალომე დემურია დიმიტრი ცინცაძის ფილმისთვის “ჩაისუნთქე-ამოისუნთქე”;
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ლევან გელბახიანი ლევან აკინის ფილმისთვის “და ჩვენ ვიცეკვეთ”;
- საუკეთესო მუსიკა - დიმიტრი მამულიას ფილმი “ბოროტმოქმედი”;

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 20 წლის გახდა!

ფესტივალის საიუბილეო გამოშვება ალფრედ ჰიჩკოკის 1929 წელს გადაღებული ფილმით გაიხსნა. ფილმ “შანტაჟს” მუსიკალურ თანხლებას უწევდა „ალტერ ორკესტრა“ მირიან ხუხუნაიშვილის დირიჟორობით. აღსანიშნავია, რომ “შანტაჟის” ჩვენებას ესწრებოდა კომპოზიტორი ნილ ბრენდი, რომელმაც ალფრედ ჰიჩკოკის ამ ფილმისთვის მუსიკა 2007 წელს შექმნა.

საზეიმო გახსნის მსგავსად, გამორჩეული იყო თბილისის კინოფესტივალის პროგრამა, რომელიც კინოკლასიკისა და უახლესი კინოს მნიშვნელოვან ნამუშევრებს აერთიანებდა.

წელს თბილისის საერთაშორისო კინფესტივალის ფოკუს ქვეყანა დიდი ბრიტანეთი იყო. საქართველოში ბრიტანეთის საელჩოსთან და ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით, კინოფესტივალის მაყურებელმა არაერთი საინტერესო ბრიტანული ფილმი იხილა.

რეჟისორი ფოკუსში – ამ სტატუსით თბილისის მეოცე კინოფესტივალზე ცნობილი მექსიკელი რეჟისორი კარლოს რეიგადასი სარგებლობდა. მან პროექტ “თანამედროვე კინოს დიდოსტატების” ფარგლებში მასტერკლასებიც ჩაატარა.

კიდევ ერთი სიახლე, რაც კინოფესტივალის წლევანდელ გამოშვებას გამოარჩევდა 90- წამიანი ფილმების კონკურსი „დეპიქტ!“ იყო. კონკურსი თბილისისა და ბრისტოლის კინოფესტივალების თანამშრომლობით გაიმართა.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია 7 დეკემბერს გაიმართა. ფესტივალი სიმბოლურად მიხეილ კობახიძის ლეგენდარული ფილმის ჩვენებით დაიხურა. ფილმი “ქორწილი” მთავარი როლის შემსრულებელმა – გოგი ქავთაველმა თავად წარადგინა.

ჩვენების დასრულების შემდეგ ფესტივალის ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. წელს პრიზები მხოლოდ ეროვნულ კონკურსში გაიცა:

- საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი – დიმიტრი ცინცაძის “ჩაისუნთქე-ამოისუნთქე”;
- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა – უტა ბერიას “უარყოფითი რიცხვები”;
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – მარი გულბიანის “სანამ მამა დაბრუნდება”;
- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა – გიორგი მრევლიშვილის “თორმეტი გაკვეთილი;
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – გიორგი სიხარულიძის “მამული”;
- ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის – ანტონ გრომოვი და ალიშერ ხამიდხოჯაევი (დიმიტრი მამულიას ფილმისთვის “ბოროტმოქმედი”);
- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პრიზი „ადამიანის უფლებები კინოში“ – უტა ბერიას “უარყოფითი რიცხვები”;
- საპატიო პრომეთე – კარლოს რეიგადასი, ირაკლი კვირიკაძე;

ეროვნული კინოცენტრის კონკურსი “წერე ქართულ კინოზე”, გამარჯვებულები: გიორგი ჯავახიშვილი (I ადგილი), ლევან აბდუშელიშვილი (II ადგილი) და ზაზა ცანკაშვილი (III ადგილი).

მელბურნში ქართული ანიმაციური ფილმების პროგრამა აჩვენეს

13-21 ივლისს ავსტრალიის ქალაქ მელბურნში გაიმართა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ქართული ანიმაცია შემდეგი პროგრამით იყო წარმოდგენილი:

- “გოდერძი” – რეჟისორი პეტრე თომაძე
- “მეთევზე და გოგონა” – რეჟისორი მამუკა ტყეშელაშვილი
- “ჩაი” – რეჟისორი პეტრე თომაძე
- “ბებო” – რეჟისორი სანდრო ქათამაშვილი
- “ჯიბის კაცი” – რეჟისორი ანა ჩუბინიძე
- “ჰორიზონტი” – რეჟისორი დათო კიკნაველიძე
- “ლილე” – რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი

მელბურნის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა მაყურებელს წარუდგინა 400-ზე მეტი ანიმაცია – როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ფილმები. ქართული პროგრამა აჩვენეს სექციაში Window On Georgian Animation.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი “თოფუზი”

ანიმაციური ფილმების მე-11 საერთაშორისო ფესტივალი “თოფუზი” 21 ოქტომბერს ხულოში გაიხსნა. რამდენიმე დღის მანძილზე მან აუდიტორიას არაერთი საინტერესო ანიმაციური ფილმი შესთავაზა. პარალელურად იმართებოდა ვორქშოპები ახალგაზრდა ანიმატორებისთვის.

ჟიურის გადაწყვეტილებით ფესტვალზე გაიცა შემდეგი ჯილდოები:

- გრან პრი - “ხუთი წუთი ზღვამდე” - ნატალია მირზოიანი, რუსეთი;
- საუკეთესო რეჟისურა - “სითბოს ტალღა” - ფოქიონ ქსენოს, ინგლისი;
- საუკეთესო მუსიკა - “სპილოს სიმღერა” - ლინ ტომლინსონი, აშშ;
- საუკეთესო ტექნიკა - “მშვიდი” - მარიან ბუნდგაარდ ნილსენი, ნორვეგია;
- საუკეთესო სცენარი - “ხოჭო ქიანჭველების ბუდეში” - ვასილი ეფრემოვუ, რუსეთი;
- საუკეთესო დებიუტი - “მიპოვე დედა” - სუშანა საჰა, ინდოეთი;
- საუკეთესო ფილმი ბავშვებისთვის - “მშვიდი” - მაქსიმ კულიკოვ, რუსეთი;
- საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი - “ნახევრად მძინარე” - ქაიბეი ქაი, ინგლისი;
- საუკეთესო სტუდენტური ფილმი - “წამალი” - ზილაი ფენგი, აშშ;
- საუკეთესო ფილმი უფროსებისთვის - “მარტოხელა მონსტრი გამოდის” - ივან მაქსიმოვი, რუსეთი;
- საუკეთესო სერიალი - “ჰოლი ზაფხულის კუნძულზე: კვლევა” - კარლა ნორ ჰოლმბექი, დანია;
- ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი - “ძაღლის ისტორია” - არხიპ ვარფოლომეევ, რუსეთი;

ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანია

“ოსკარისა” და “ოქროს გლობუსის” კამპანიის ფარგლებში, ჰოლივუდში აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალი გაიმართა, სადაც დიმიტრი ცინცაძეს საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადასცეს ფილმისთვის „შინდისი“. კინოფესტივალზე ძირითადად ის ფილმებია წარმოდგენილი, რომლებიც “ოსკარისა” და “ოქროს გლობუსის” ნომინაციებისთვის იბრძვიან.

ლოს ანჯელესში საქართველოს კანდიდატი ფილმის - “შინდისის” კამპანია ოქტომბრის ბოლოს დაიწყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

კამპანიის ფარგლებში გაიმართა ფილმის 7 მიზნობრივი ჩვენება, რომელსაც ამერიკის კინოაკადემიის წევრები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ევროპული კინოდაჯილდოება

7 დეკემბერს, ბერლინში გაიმართა ევროპული კინოდაჯილდოვების საზეიმო ცერემონია. იგი ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელსაც ევროპაში წლიდან წლამდე დიდი ინტერესით ელიან.

საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდოსთვის წელს ქართველი მსახიობი - ლევან გელბახიანი იბრძოდა. ამავე კატეგორიაში ლევანის კონკურენტები იყვნენ: ანტონიო ბანდერასი, ჟან დუჯარდინი, პიერფრანჩესკო ფავინო, ალექსანდერ შეერი და ინგვარ სიგურდსონი. ჯილდო ანტონიო ბანდერასს გადაეცა პედრო ალმადოვარის ფილმისთვის “ტკივილი და დიდება”.

ევროპული კინოდაჯილდოვების სტუმარი იყო ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე. მან ჯილდო გადასცა საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში გამარჯვებულს.

უკვე ცნობილია, რომ მომდევნო წელს ევროპული კინოდაჯილდოვების ნომინაციისთვის განიხილება ირინე ჟორდანიას ფილმი “მარქსის ქუჩა #12”. იგი საუკეთესო ევროპული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაში კანდიდატად წარადგინა საერთაშორისო კინოფესტივალმა PÖFF Shorts.

ოთარ იოსელიანის “გიორგობისთვე” და ზაზა ურუშაძის “სამი სახლი”

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ვაშინგტონში გაიმართა ოთარ იოსელიანის ფილმის ჩვენება. “გიორგობისთვე” ამერიკელ აუდიტორიას საელჩოს წარმომადგენელმა სოფია გეგეჭკორმა წარუდგინა, რომელმაც ქართული კინოს ისტორიის გარდა დამსწრე საზოგადოებას ქართული ღვინის 8000 წლიანი ტრადიციაც გააცნო.

მალევე საელჩომ კიდევ ერთი ქართული ფილმის ჩვენება მოაწყო. წლის ბოლო სეანსი ცნობილ ქართველ რეჟისორს - ზაზა ურუშაძეს მიეძღვნა, რომელიც ახლახანს მოულოდნელად გარდაიცვალა. დამსწრე საზოგადოებამ ზაზა ურუშაძის ფილმი “სამი სახლი” ნახა.

ტოდ ფილიპსის “ჯოკერი”

კინოთეატრ “ამირანში” ტოდ ფილიპსის ახალი ფილმის პრემიერა გაიმართა. “ჯოკერის” საპრემიერო ჩვენებას კულტურის სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ. ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს მფლობელმა ფილმმა და ხოაკინ ფენიქსის ჯოკერად გარდასახვამ მაყურებელთა დიდი ნაწილის მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიებას ეროვნული კინოცენტრი და კინოთეატრი “ამირანი” ერთობლივად მასპინძლობდნენ.

თენგიზ აბულაძის “მონანიება”

ბრიუსელში “დაბრუნებული თავისუფლების საერთაშორისო კინოფესტივალი” (Regained Freedom International Film Festival) გაიმართა, სადაც თენგიზ აბულაძის ფილმის ჩვენება შედგა.

“მონანიება” კინოფესტივალზე რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ წარადგენა, როგორც ფილმის სცენარის ავტორმა.



მიხეილ მრევლიშვილის „გამარჯობა, ქარი ქრის“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოში იტალიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა მიხეილ მრევლიშვილის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენება სახელწოდებით „გამარჯობა, ქარი ქრის“.

ფილმი ეძღვნება იტალიელ პოეტს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს – ტონინო გუერას, მოიცავს ფრაგმენტებს მისი ბიოგრაფიიდან და აერთიანებს იმ დოკუმენტურ მასალას, რომელიც გადაღებულია როგორც მაესტროს სიცოცხლეში, ასევე, მისი გარდაცვალების შემდეგ.

ლაშა ოთხმეზურისა და ვახო ვარაზის “დაკარგული რვანახევარი”

გამორჩეული ქართველი რეჟისორის - მიხეილ კობახიძის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს კინოაკადემიის ორგანიზებით გაიმართა ლაშა ოთხმეზურისა და ვახო ვარაზის ფილმის ჩვენება სახელწოდებით “დაკარგული რვანახევარი” (2019).

ფილმზე მუშაობა ახლახანს დასრულდა და იგი ფართო აუდიტორიას ჯერ არ უნახავს.

ფილმში მიხეილ კობახიძე თავად გვიყვება მისი ბავშვობისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ.

შეხვედრა ჩინეთის დელეგაციასთან

პეკინის მუნიციპალური ტელე-რადიო მაუწყებლობის ორგანიზებით თბილისში ჩინური და ქართული დელეგაციების შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ქართული კინოს ისტორია, კინოსექტორის დღევანდელი მდგომარეობა და ეროვნული კინოცენტრის საქმიანობა გააცნო.

დელეგაციების შეხვედრას ქართული და ჩინური საპროდიუსერო და სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეროვნული კინოცენტრის მოწვევით თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ფრანგი პროდიუსერი ოლივიე კატერინი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და სტუდია “კვალი XXI” - ის ორგანიზებით, 14 – 18 ოქტომბერს მეხუთედ ჩატარდა ანიმაციური ფილმების პროექტების განვითრების ვორქშოპი.

ქართველ ანიმატორებთან სამუშაოდ საფრანგეთიდან ჩამოვიდა ანიმაციური ფილმების პროდიუსერი ოლივიე კატერინი.

ვორქშოპის ბოლო დღეს ქართველმა ანიმატორება წარადგინეს პროექტები, რომლებიც გადაეცა ანსის კინოფესტივალის კომისიას. სწორედ კომისიის წევრებმა გამოავლინეს „ანსი 2019“-ს გამარჯვებული - ახალგაზრდა ანიმატორი თათა მანაგაძე პროექტით „ქაღალდის თვითმფრინავი“.

თათია საფრანგეთში გაემგზავრება და ანსის საერთაშორისო კინფესტივალზე წარადგენს მის პროექტს.

ქართული კინოს ფორუმი ბაკურიანში

10 -13 ოქტომბერს ბაკურიანი ქართული კინოს ფორუმს მასპინძლობდა სახელწოდებით “ნახე პირველად ბაკურიანში”.

ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეხილათ ის ახალი ქართული ფილმები, რომლებიც ფართო აუდიტორიას ჯერ არ უნახავს. ვენეციის კინოფესტივალის შემდეგ ბაკურიანში აჩვენეს დიმიტრი მამულიას ფილმი „ბოროტმოქმედი“. კინოფორუმის პროგრამაში იყო დიმიტრი ცინცაძის 2 ახალი ნამუშევარი – საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე „შინდისი“ და შანხაის კინოფესტივალის ტრიუმფატორი „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“. დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების - უტა ბერიასა და გიგა ლიკლიკაძის სადებიუტო ნამუშევრებმა “უარყოფითი რიცხვები” და “ღორი”. ღონისძიებაზე ასევე აჩვენეს გიორგი მრევლიშვილის დოკუმენტური ფილმი “თორმეტი გაკვეთილი” და ლაშა ოთხმეზურისა და ვახო ვარაზის “დაკარგული რვანახევარი”, რომელიც გამორჩეული ქართველი რეჟისორის - მიხეილ კობახიძის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ გვიყვება.

ქართული კინოს ფორუმს დაესწრნენ რეჟისორები, პროდიუსერები, მსახიობები, კინო-მცოდნეები და მედიის წარმომადგენლები. კინოჩვენებების გარდა გაიმართა საინტერესო დისკუსიები თანამედროვე ქართული კინოწარმოებისა და ქართული კინომემკვიდრეობის თემებზე.

ღონისძიებას ეროვნული კინოცენტრი და მთის კურორტების განვითარების კომპანია ერთობლივად უწევდნენ ორგანიზებას. კინოფორუმის პარტნიორები არიან „შემოქმედებითი ევროპის“ საქართველოს დესკი, სასტუმრო „კრისტალი“ და ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

კოტე მარჯანიშვილის 1927 წელს გადაღებული ფილმის ჩვენება ელექტრონული მუსიკის თანხლებით

4 – 6 ოქტომბერს საქართველოში ევროპის მემკვიდრეობის დღეები აღინიშნებოდა. ამასთან დაკავშირებით ილიას ბაღში გაიმართა კოტე მარჯანიშვილის 1927 წელს გადაღებული ფილმ „ამოკის“ ჩვენება ელექტრონული მუსიკის თანხლებით. მუსიკალურ ნაწილზე ვაჟა მარმა და გიო კუქუხიძემ იმუშავეს. ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი და “არტარეა” ერთობლივად უწევდნენ ორგანიზებას.

„ამოკი“ უცხოური ლიტერატურული ნაწარმოების პირველი ეკრანიზაციაა ქართულ კინოში. ფილმი შტეფან ცვაიგის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით შეიქმნა მთავარ როლში ქართული კინოს ვარსკვლავის – ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

ევროპის მემკვიდრეობის დღეების აღნიშვნის ტრადიცია ჯერ კიდევ 1985 წლიდან მომდინარეობს. საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობას იღებს ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი 50 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

რუსეთის ფილმსაცავ “გოსფილმოფონდიდან” საქართველოს 17 ქართული ფილმის საწყისი მასალები გადმოეცა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად გრძელდება რუსეთის ფილმსაცავ “გოსფილმოფონდიდან” ქართული კინომემკვიდრეობის დაბრუნების პროცესი. ამ ეტაპზე საქართველოს შემდეგი 17 ქართული ფილმის საწყისი მასალები გადმოეცა:

- „მათი სამეფო“ (1928) – რეჟისორები მ.კალატოზიშვილი, ნ.ღოღობერიძე;
- „ხანუმა“ (1926); „ორი მონადირე“ (1927); „ჯანყი გურიაში“ (1928) – რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა;
- „გოგი რატიანი“ (1927); „კრაზანა“ (1928); „კომუნარის ჩიბუხი“ – რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი;
- „ბელა“ (1927) – რეჟისორი ვლადიმერ ბარსკი;
- „გიული“ (1927) – რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია;
- „იბრაჰიმი და გოდერძი“ („პირველი და უკანასკნელი“ – 1927); „ღრუბელთა თავშესაფარი“ („ცხოვრებასთან შეხვედრა“ – 1928) – რეჟისორი ზაქარია ბერიშვილი;
- „ნორჩი მფრინავი“ (1928) – რეჟისორი ნიკოლოზ კახიძე;

- „ქალი ბაზრობიდან“ (1928) – რეჟისორი გიორგი მაკაროვი;
- „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1928) – რეჟისორი მიხეილ გელოვანი;
- „ჩემი ბებია“ (1928 -ძველი ვერსია) – რეჟისორი კოტე მიქაბერიძე;
- „საბა“ (1929) – რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი;
- „მონანიება“ (1986) – რეჟისორი თენგიზ აბულაძე;

რუსეთის ფილმსაცავ “გოსფილმოფონდიდან” ქართული ფილმების საწყისი მასალების დაბრუნება მომდევნო წელსაც გაგრძელდება. 2020 წლის პრიორიტეტი 20-იანი წლების ქართული კინო იქნება.

“კინო სკოლაში” - ზამთრის სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება ელექტრონული მუსიკის თანხლებით

“კინო სკოლაში” - პროექტის ზამთრის სეზონის დახურვა 7 დეკემბერს გაიმართა.

200 კინოსკოლელი საქართველოს სხვადასხვა რაიონის სკოლებიდან ჯერ “ილუზიების მუზეუმს” ესტუმრა, შემდეგ კი კინოთეატრ “ამირანში”, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში დაესწრო უტა ბერიას ფილმის ჩვენებას სახელწოდებით “უარყოფითი რიცხვები”. ჩვენების დასრულების შემდეგ, კინოსკოლელებს შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ რეჟისორ უტა ბერიასა და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი უკვე მეხუთე წელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით წარმატებით მიმდინარეობს. პროექტში ხორციელდება საქართველოს ყველა რაიონში, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში. კინოსკოლელები უყურებენ ფილმებს, მართავენ დისკუსიებსა და პროფესიონალების დახმარებით იღებენ მოკლე ფილმებს, ასევე ერთვებიან სხვადასხვა კონკურსებში. პროექტის არსებობის მანძილზე სულ გაიმართა ქართული და უცხოური მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების 15 930 ჩვენება-დისკუსია.

2019 წლიდან “კინო სკოლაში” განათლების რეფორმის – „ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში მიმდინარეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ პროექტი თბილისის სკოლებსაც მოიცავს.

პანელ დისკუსია ქართული კინოინდუსტრიის შესახებ

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ორგანიზებით გაიმართა პანელ დისკუსია ქართული კინოინდუსტრიის შესახებ.

ღონისძიება სავაჭრო პალატის ვიცე პრეზიდენტმა - ირაკლი ბაიდაშვილმა გახსნა. პანელ დისკუსიაზე სიტყვით გამოვიდნენ გაგა ჩხეიძე (ეროვნული კინოცენტრის დირექტორი), ქეთი ბოჭორიშვილი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე), დავით ვაშაძე (კინოკომისიონერი), თათია ბიძინაშვილი (სააგენტო “აწარმოე საქართველოში”) და ქეთი სიდამონიძე (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

პანელ დისკუსიის მოდერატორი იყო ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორი - ჯორჯ ველტონი.

სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმის პროექტმა “ევრიმაჟის” დაფინანსება მოიპოვა

ევროპის საბჭოს კინოფონდ “ევრიმაჟის” მორიგ, 156-ე სამუშაო სესიას სტრასბურგმა უმასპინძლა. ღონისძიება გამორჩეული იყო, რადგან წელს “ევრიმაჟი” დაარსებიდან 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგს ეწვიენ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ელჩები, კინოფონდების ხელმძღვანელები, “ევრიმაჟის” ბორდის წევრები, რეჟისორები და პროდიუსერები. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე და საქართველოს წარმომადგენელი “ევრიმაჟში” – ნინო კირთაძე.

სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმის პროექტს სამუშაო სესიების მსვლელობისას ნინო კირთაძე იცავდა. საბოლოოდ პროექტმა საუკეთესო შეფასება (10-დან 10 ქულა) მიიღო და 50 000 ევროთი დაფინანსდა.

პროექტების განხილვის გარდა სამუშაო სესია ითვალისწინებდა დისკუსიებს და კენჭისყრას “ევრიმაჟის” წესდებისა და სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე.

“ევრაზიადოკი”

სომხეთის ინდუსტრიულ შეხვედრებში წელს 3 ქართული პროექტი მონაწილეობდა:

- “ბერი” (ავტორი: თიკო ნადირაშვილი)
- “ოცნება კადილაკზე” (ავტორი: ელენე მიქაბერიძე)
- “რაც თავი მახსოვს” (ავტორი: მაკა გოგალაძე)

პროექტის ავტორები ევროპელი პროდიუსერებისა და ტელევიზიების წარმომადგენლების წინაშე წარსდგენენ. “ევრაზიადოკის” ინდუსტრიული შეხვედრების შედეგების თანახმად, გამარჯვებული ელენე მიქაბერიძე გახდა პროექტით “ოცნება კადილაკზე”. იგი “დოკლაიფციგის” კოპროდუქციის ბაზრობაზე მიიღებს მონაწილეობას.

არასის საერთაშორისო კინოფესტივალი

არასის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ინდუსტრიულმა პლატფორმამ “არასის დღეები” (Arras Days) ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს უმასპინძლა, სადაც ისინი ფილმის პროექტებს წარადგენდნენ.

მთავარი ჯილდო (7 500 ევრო) პროექტის განვითარებითვის ქართველმა რეჟისორმა უტა ბერიამ მოიპოვა ფილმის პროექტით “სიყვარული აქციის დროს”.

www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტონულ მისამართზე – info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge